



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1819 2016 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“  
საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების  
ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“  
საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და  
ამავე მუხლის 2<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 220 კვ-იანი  
საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმის“ მშენებლობის  
მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (ს/კ: 204995176)  
მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს მიწის ნაკვეთებზე (მიწის  
(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №21.08.37.245; №21.08.37.244;  
№21.09.34.226; №21.09.33.206; №21.09.33.209; №21.09.32.293; №21.09.32.291;  
№21.08.37.250; №21.08.37.243; №21.08.37.246; №21.08.37.242; №21.08.37.248;  
№21.08.36.307; №21.08.36.308 და №21.08.36.305) არსებული, საქართველოს  
„წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) კაკლის ხე (*Juglans regia* L) – 3 (სამი) ინდივიდი;

ბ) ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* Mill.) - 200 (ორასი) ინდივიდი;

გ) კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana* Stev) - 55 (ორმოცდათხუთმეტი) ინდივიდი.

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი, დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს მას მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი